

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №65
2017 წლის 28 დეკემბერი

დაბა ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის №30 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

თავი I

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება ათას ლარებში

№	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
1	შემოსულობები	8,396.7	10,817.4	6084.2
	შემოსავლები	8,368.0	10,517.4	5784.2
	არაფინანსური აქტივების კლება	28.6	300.0	300.0
2	გადასახდელები	7,754.3	10,817.4	6084.2
	ხარჯები	5,332.6	5,677.7	5,714.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,421.7	5,042.0	270.0
	ვალდებულებების კლება	00	97.7	100.0
3	ნაშთის ცვლილება	642.4	00	00

მუხლი 2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით



№	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
I	შემოსავლები	8,368.0	10,517.4	5,784.2
1.1	გადასახადები	762.4	550.0	550.0
1.3	გრანტები	7,352.1	9,747.4	5,007.2
1.4	სხვა შემოსავლები	253.6	220.0	227.0
II	ხარჯები	5,332.6	5,677.7	5,714.2
2.1	შრომის ანაზღაურება	1,327.6	1,185.7	1,480.8
2.2	საქონელი და მომსახურება	677.2	864.2	907.2
2.5	სუბსიდიები	2,381.4	2,915.2	2,688.5
2.6	გრანტები	147.2	0.0	0.0
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	516.8	545.1	539.7
2.8	სხვახარჯები	282.6	167.6	98.0
III	საოპერაციო სალდო	3,035.4	4,839.7	70.0
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,393.0	4,742.0	-30.0
	ზრდა	2,421.7	5,042.0	270.0
	კლება	28.6	300.0	300.0
V	მთლიანი სალდო	642.4	97.7	100.0
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	642.4	0.0	0.0
	ზრდა	776.0	0.0	0.0
	კლება	133.7		
VII	ვალდებულებების ცვლილება		-97.7	-100.0
	კლება		97.7	100.0
33.1	საშინაო		97.7	100.0
33.2	საგარეო	-	-	-
VIII	ბალანსი	0,0	0,0	0,0

თავი II

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 5784.2 ათასი ლარის ოდენობით



შემოსულობების კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
1	შემოსავლები	8,368.0	10,517.4	5,784.2
11	გადასახადები	762.4	550.0	550.0
13	გრანტები	7,352.1	9,747.4	5,007.2
14	სხვა შემოსავლები	253.6	220.0	227.0

მუხლი 4. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 550,0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
11	გადასახადები	762.4	550.0	550.0
11111	საშემოსავლო გადასახადი	590.0	380.0	300.0
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	172.4	170.0	250.0
113111 113112	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	84.1	80.0	170.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	1.1	5.0	5.0
113114 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	87.2	85.0	75.0

მუხლი 5. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5007.2 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
13	გრანტები	7352.1	9747.4	5,007.2
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	7352.1	9747.4	5,007.2
133111	მიმდინარე	4057.8	4940.2	5,007.2
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	3885.8	4248.9	4,835.2
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	172.0	172.0	172.0
1331113	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები (სპეციალური ტრანსფერი)	0.0	519.3	0.0



133112	კაპიტალური	3294.3	4807.2	0.0
1331121	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები (კაპიტალური ტრანსფერი)	1687.3	3111.8	0.0
1331122	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები (სპეციალური ტრანსფერი)	1607.0	1695.4	0.0

მუხლი 6. მუხლი 6. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 227.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	253.6	220.0	227.0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	206.5	150.0	150.0
1415	რენტა	206.5	150.0	150.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის	206.5	150.0	150.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16.2	15.0	26.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	7.8	15.0	24.0
14223	ადგილობრივისანებართვომოსაკრებლები, მათშორის	1.1	4.0	4.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.7	11.0	20.0
1423	არასაბაზროწყისთგაყიდულისაქონელი დამომსახურება	8.4	0.0	2.0
14232	შემოსავლები დამომსახურებისგაწევიდან	8.4	0.0	2.0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	28.0	55.0	50.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3.0	0.0	1.0
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3.0	0.0	1.0

თავი III

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
 განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5714.2 ათასი ლარის ოდენობით
 ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
ხარჯები	5,332.6	5,677.7	5,714.2



შრომის ანაზღაურება	1,327.6	1,185.7	1,480.8
საქონელი და მომსახურება	677.2	864.2	907.2
სუბსიდიები	2,381.4	2,915.2	2,688.5
გრანტები	147.2	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	516.8	545.1	539.7
სხვა ხარჯები	282.6	167.6	98.0

მუხლი 8. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება -30.0
 ათასი ლარის ოდენობით, მათშორის:

ა) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 270.0
 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,754.3	10,817.4	6,084.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,421.7	5,042.0	270.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,801.2	1,842.2	2,267.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.4	23.9	17.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	591.3	580.9	645.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.8	10.8	5.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,209.9	1,197.1	1,442.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.6	13.1	12.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	74.6	79.4	96.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.4	5.0	1.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	74.6	79.4	96.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.4	5.0	1.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,074.9	6,415.1	1,054.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,191.8	4,568.2	232.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	910.6	3,741.0	207.5



	არაფინანსური აქტივების ზრდა	735.9	3,575.7	0.0
03 01 01	მუნიციპალიტეტის გზების მოწყობა რეაბილიტაცია	799.4	2,469.4	171.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	660.4	2,340.0	0.0
03 01 02	სახიდე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია	111.2	1,271.7	36.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	75.4	1,235.7	0.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,442.3	880.9	615.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	983.6	375.3	85.0
03 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	140.4	165.0	190.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	50.0	50.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	947.0	45.0	60.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	919.2	4.5	5.0
03 02 07	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების და სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია	15.7	57.6	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15.7	17.1	30.0
03 02 09	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	46.0	303.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	46.0	303.7	0.0
03 02 10	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	24.3	50.0	50.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.7	0.0	0.0
03 03	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	41.9	296.6	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41.9	296.6	0.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	492.6	34.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	272.9	34.7	0.0
03 05	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაადირცხოვ დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	79.0	176.7	65.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	75.9	72.2	15.0
03 07	სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა	31.4	33.0	35.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.6	0.0	0.0
03 08	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	77.0	213.6	132.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	77.0	213.6	132.0
04 00	განათლება	1,287.4	1,569.4	1,245.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	211.9	425.9	0.0
04 01	სკოლამდელი განათლება	1,170.4	1,480.9	1,155.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	211.9	425.9	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	907.5	741.8	795.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	19.0	20.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	284.8	290.7	315.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	15.5	20.0
05 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	157.8	155.0	155.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	5.5	0.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	127.0	135.7	160.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	10.0	20.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	427.3	438.0	460.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	3.6	0.0
05 02 01	კულტურის სახლების, სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	260.0	270.0	280.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	3.6	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	608.8	688.3	625.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	491.3	523.2	495.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები)	21.4	23.2	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0

ბ) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300.0 ათასი ლარის ოდენობით

შემოსულობების კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	28.6	300.0	300.0
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	0.0	100.0	100.0



314	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის)გაყიდვიდან	28.6	200.0	200.0
-----	--	------	-------	-------

მუხლი 9. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,801.2	1,812.2	2,167.0
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,801.2	1,812.2	2,167.0
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,801.2	1,767.2	2,087.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	45.0	80.0
702	თავდაცვა	74.6	78.9	96.9
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,632.5	5,010.0	439.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	721.9	1,272.0	232.0
70421	სოფლის მეურნეობა	721.9	1,272.0	232.0
7045	ტრანსპორტი	910.6	3,738.1	207.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	910.6	3,738.1	207.5
705	გარემოს დაცვა	335.5	603.5	330.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	265.2	250.2	280.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	70.3	353.3	50.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,106.9	268.2	285.1
7063	წყალმომარაგება	947.0	44.5	60.0
7064	გარე განათება	140.4	161.8	190.1
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	19.4	62.0	35.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	85.4	84.5	85.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	85.4	84.5	85.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	907.5	724.2	795.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	431.9	278.8	315.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	427.3	433.4	460.0



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	48.3	12.1	20.0
709	განათლება	1,287.4	1,534.8	1,245.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,170.4	1,447.8	1,155.0
7092	ზოგადი განათლება	26.8	30.0	30.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	26.8	30.0	30.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	90.2	57.0	60.0
710	სოციალური დაცვა	523.4	603.3	540.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	499.0	571.5	504.7
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	21.4	23.2	30.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2.9	8.6	6.0
	სულ	7,754.3	10,719.7	5,984.2

თავი IV

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 100.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
საშინაო	0.0	0.0	0.0

ა) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 100.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
	0.0	97.7	100.0
საშინაო	0.0	97.7	100.0



საგარეო			
---------	--	--	--

ბ) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2017 წლის ბოლოსთვის 0.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

კრედიტორები	ვალის ნაშთი 2017 წლის ბოლოსათვის
მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის მომსახურება	0.0
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	0.0

შენიშვნა: მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია საპროგნოზო გაცვლითი კურსი : 1 ევრო – 2.7590 ლარი

თავი V

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მშენებლობა-ექსპლოატაცია, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარამოს დაცვის ღონისძიებები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა, შადრევნების, სპორტული მოედნების და დასვენების პარკის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის (0301) მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, ქუჩების რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე მუნიციპალიტეტის გზების და ქუჩების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის (0302) მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლოატაცია, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები: საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ქვეწარმავლების და მაწანწალა ცხოველების დასახლებული პუნქტებიდან გადაყვანა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა.

ბ.ა) გარეგანათების (030201) მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ღამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ისტორიული ძეგლებისა და ტაძრების ფასადების, სკვერების განათებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, ცენტრალურ გზაზე გარე განათების მშენებლობა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და



გახარჯული ელექტროენერჯის ხარჯები.

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (030202) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა ჩხოროწყუმში ქუჩების ყოველდღიური, მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ცენტრების პერიოდული დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ბ.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (030203) სასმელი წყლის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს წყლის სისტემის მოწესრიგებას, მის დაცულობას. მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის, ბაქტერიებისაგან გაწმენდილი წყლის მიწოდებას. ამასთან სოფელ მუხურში ახალი წყლის მომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობას.

ბ.დ) უმეტავალყუროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (03 02 06) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

ბ.ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების და სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია (03 02 07) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება.

გ) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი (03 05) პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე ზედამხედველობას, უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

დ) სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა (03 07) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობას, კერძოდ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გენეტიკურ განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

ე) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (03 08)

3. განათლება (04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ასევე უნარშეზღუდულ ბავშვების სწავლას და მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში.

ა) სკოლამდელი განათლება (04 01) მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1012 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, სკოლამდელი განათლება ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას რათა აღსაზრდელებს შეექმნას კომფორტული პირობები და შეძლონ სწავლა და გართობა.

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება (0402) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება.

გ) განათლების ხელშეწყობა (04 03) ჩხოროწყუმს მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნორჩ ფოლკლორისტთა, ენის მოყვარულთა, შემოქმედთა, ტექნიკური ცოდნის მიდრეკილთა და მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეთა გამოვლენა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)



ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (0501)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ა.ა) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (050101)

ქვეპროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის მოზარდ თაობაში საფეხბურთო მონაცემების მქონე მოზარდი თაობის გამოვლენას, დაოსტატებას და ქვეყნის მასშტაბით მათ მონაწილეობას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებით ორგანიზებულ ტურნირებში. მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

ა.ბ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (050102)

ქვეპროგრამის მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა სპორტულ სექციებში და მათ მონაწილეობა შესაბამის სპორტული სახეების მიხედვით სხვადასხვა ეგიდის შეჯიბრებებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, აგრეთვე მოეწყობა ლაშქრობები ტობავარჩხილში, ოსინდალე-წიფურას ხეობაში. ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა მეგრული სამზარეულოს მოწყობა-დემონსტრირება, სხვადასხვა ტრადიციული ფესტივალების მოწყობა-გამოფენა. ტურისტთა მოზიდვის მიზნით საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღება ქვეყნის შიგნით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (0502) კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის სახლების, სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (050201)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამ დაწესებულებების, კერძოდ ა(ა)იპ-ი „ჩხოროწყუს კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: თეატრალური ხელოვნების განვითარება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. ტრადიციების აღორძინება და განვითარება.

ბ.ბ) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (05 02 02)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ჩხოროწყუს ისტორიულის მუზეუმის“ დაფინანსებას, რომელიც სისტემატიურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამინათა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ ისტორიულ მასალას, შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიური სიამოვნების მინიჭების მიზნით;

ბ.გ) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ-ი „ჩხოროწყუს მუსიკალური სკოლა“, სადაც სწავლობს 170-მდე მოსწავლე;

ბ.დ) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები.



გ) ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 03)

პროგრამა უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდათაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (0601)

პროგრამა ითვალისწინებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დაფინანსებას, რომლის მიერ განხორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვერებში, ნაგვისშემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სამღვრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა.

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (0602)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ჩხოროწყუს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ.ა) სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები (06 02 01))

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება.

გ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 49 მრავალშვილიან ოჯახის 220 ბენეფიციარზე, 240-მდე ახალ დაბადებულ ბავშვებზე, 8-მდე ას წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე, 45-მდე უსინათლოებზე, მეორე მსოფლიო ომის 5 მონაწილეზე, ავღანეთის ომში 40 მონაწილეთა ოჯახებზე, ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში 16 მონაწილეთა ოჯახებზე გაიცემა ერთჯერად დახმარებები. თირკმლის დიალეზზე მყოფი 18 პირზე, შშმ 65 მოზარდზე გაიცემა ყოველთვიური დახმარება. გათვალისწინებულია 33 უსახლკართა თავშესაფრით უზრუნველყოფა, გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფთა დახმარება, ხელმოკლე ოჯახებისათვის სამედიცინო დახმარებების თანადაფინანსება და სხვა ერთჯერადი დახმარებები.



დ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) (060203)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

ე) სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციის ხარჯი (06 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ხელშეწყობა, როგორც ფულადი ისე მატერიალური სახით. ხანძრის სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანებისას მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ზარალის ოდენობის შესაბამისად შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნისა და გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

თავი VI

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა			
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,754.3	10,817.4	4,807.2	6,010.2	6,084.2	0.0	6,084.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	135.0	135.0	0.0	135.0	135.0	0.0	135.0
	ხარჯები	5,332.6	5,677.7	168.1	5,509.6	5,714.2	0.0	5,714.2
	შრომის ანაზღაურება	1,327.6	1,185.7	0.0	1,185.7	1,480.8	0.0	1,480.8
	საქონელი და მომსახურება	677.2	864.2	78.4	785.8	907.2	0.0	907.2
	სუბსიდიები	2,381.4	2,915.2	0.0	2,915.2	2,688.5	0.0	2,688.5
	გრანტები	147.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	516.8	545.1	0.0	545.1	539.7	0.0	539.7
